



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### დოლიძე ვახტანგ ონისიმეს ძე

დოლიძე ვახტანგ ონისიმეს ძე (20. X. 1918, ქუთაისი, – 17. VIII. 1986, თბილისი), არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1982). საქართველო. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1993, გარდაცვალების შემდეგ). დაამთავრა საქართველო. ინდუსტრ. ინ-ტი (1941). მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. 1946-იდან მუშაობდა საქართველო. მეცნ. აკად. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნ. ისტორიის ინ-ტში (ასპირანტი, მეცნ. თანამშრომელი, 1971-იდან კულტურის ძეგლთა აღწერილობის განც-ბის გამგე). დ-ის მეცნ. ძიების ძირითადი მიმართულებებია: შუა საუკ. არქიტ. ძეგლების, კომპლექსების, მთიანი საქართველოს საცხოვრ. სახლების არქიტექტურა, ჩრდ. კავკ. და საქართველო. კულტ. კავშირები, მატერ. კულტურის ძეგლების მეცნ. აღწერა და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედალები.

*თხზ.*: გარბანი. ქართული ხუროთმოძღვრების IX-X სს. ძეგლი ხევში, თბ., 1958; ხევის ხალხური საცხოვრებელი სახლები, «ქართული ხელოვნება», 1959, ტ. 5; კაზრეთის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, იქვე, 1987, ტ. 9 A; Окрестности Тбилиси, Тბ., 1960 (თანაავტ.: Р. Шмерлинг, Т. Барнавели); Военно-грузинская дорога. Путеводитель по архитектурным памятникам, Тб., 1956 (თანაავტ.: Р. Шмерлинг); Рустави, Тб., 1962.

**ს. კინწურაშვილი**

---